



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 204 _ _ _

“ 14 ” აგვისტო 2020 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N9-ში(დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი №20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთის(ს/კ: 01.18.13.037.017) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 1181 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 და ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის N20.843.1067 განკარგულებების საფუძველზე საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი №20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.13.037.017) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950)

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის № 20.843.1067 განკარგულების დანართი №1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე

განკარგულების დანართი N1
(ს/კ: 01.18.13.037.017)

№	კოოპერატივის ნომერი	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მიწის ნაკვეთის წილი - კვ. მ
„კოოპერატივის წევრები“				
1	659	სვეტლანა პარასტაევი	01004004694	275.625
2	659	რაფაელ გასპარიანი	01015013787	358.750
3	659	ანა ხადულაშვილი	36001037225	358.750
4	659	ნოდარი ტარულაშვილი	01029006768	358.750
5	659	სოფიო ჯინჭარაძე	01017043189	398.125
6	659	ვარვარა არუთინოვი	01017043181	275.625
7	659	მზია კუჭუაშვილი	01015003748	183.750
8	659	თამარ ცინცაძე	01015003309	358.750
9	659	ეკა ახოზაძე	01016009719	358.750
10	659	რუსუდან ჩარგეიშვილი	01015017848	275.625
11	659	გივი ნასრაშვილი	01027022952	398.125
12	659	შალვა ლომიძე	01013017470	398.125
13	659	თინა ოდელაძე	01029017688	275.625
14	659	ირინა არეშიძე	01015007996	275.625
15	659	სოფიკო გოგოლაძე	01015010729	398.125
16	659	ნოდარი ტყემალაძე	01015022278	398.125
17	659	გიორგი დალაქიშვილი	პასპ. N72 9153337	358.750
18	659	კარინე დანელიანი	01016005086	214.375
19	659	ცირა დეკანოზიძე	01015008301	398.125
20	659	თამარი ჯიქია შალვა ჯიქია	01015019804 01015007301	275.625
21	652	გაიოზ უზუნაშვილი	01027042272	179.375
22	668	ციური ქიმაძე	01011068595	420.000

23	629	ჯიმშერ ანდრიაშვილი	01005020089	315.000
24	629	ქეთევანი კახაშვილი	01019044790	315.000
25	657	გიორგი პაპინაშვილი	01024064420	266.875
26	621	გიორგი წინამძღვრიშვილი	01002012335	288.750
27	635	ნათელა მერაბიშვილი	01011071690	415.625
28	672	ხათუნა გამყრელიძე	01021011861	275.625
29	646	მერი მამუკელაშვილი	01034002532	161.875
30	651	მარინე გრიგორიანი	01003012434	284.375
31	646	თამარ ისაკაძე	34001001273	310.625
32	646	დავითი ბარბაქაძე	01001047746	188.125
33	651	ელიკო ღლონტი	01401114138	393.750
34	671	რუსუდანი კიკვაძე	01030028594	284.375
35	655	იუზა კიკვაძე	01019027291	420.000
36	651	გურამ დადასტანიშვილი	01030020392	393.750
37	658	ლამზირა ბერიძე	01005022151	266.875
38	672	კარინე ოზმანიანი	01027052948	262.500
39	651	ნანა ბახტაძე	01034003619	393.750
40	652	სოსო ბასილაძე	01014005003	196.875
41	648	თინათინ ცინდელიანი	01008028365	271.250
42	655	მზია გიგილაშვილი	01020001356	420.000
43	646	ელგუჯა ტუხაშვილი	65018000121	161.875
44	651	გია პაპუნაშვილი	01030046545	393.750

45	657	დარეჯან დუკაშვილი	01013012858	218.750
46	621	ნანული მეგრელიშვილი	01019023106	153.125
47	668	ნათელა ყიფშიძე	01011063237	371.875
48	658	ტარიელი ჭითავა	01021015069	389.375
49	654	ლილი ჯილაური	01027012697	231.875
50	646	გიორგი შაუთიძე	01027028928	249.375
51	657	ლალი ბოლაშვილი	40001025841	266.875
52	635	ნანა გიორგაძე	01013005303	415.625
53	629	ქეთევან ჭინჭარაული	01019042699	336.875
54	664	ელვირა ნარეკლიშვილი	61001088212	498.750
55	626	ლარისა ბელიჩენკო	01024011094	493.375
„კომპანია“				
56		შპს „პერსპექტივა“	405304950	1.00

ხელშეკრულება

ქ. თბილისში, [●] მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ: [●])
ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი
უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს
„პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

_____ 2020 წ.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, [●] ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“) გამარჯვებულად გამოვლენის დამადასტურებელი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს [●] წერილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებების საფუძველზე,

- (1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი [●] მიერ (შემდგომში - „სააგენტო“);
- (2) წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები/მათი უფლებამონაცვლები (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე (კონტექსტის შესაბამისად) წოდებული, როგორც „კოოპერატივის წევრები“);
- (3) შპს „პერსპექტივა“ (ს/კ: 405304950) წარმოდგენილი [●] მიერ (შემდგომში - „კომპანია“);

სააგენტო, კოოპერატივის წევრები და კომპანია ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“ (კონტექსტის შესაბამისად), ხოლო ცალ-ცალკე - „მხარე“;

პრეამბულა

ვინაიდან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი

ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2019 წლის 2 სექტემბრიდან 2019 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ, კრწანისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N9-ში(ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.18.13.037.017) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (მინიმალური ფართობი კ2=2.5-ის გათვალისწინებით - 4000 კვ.მ.) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“);

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N61-01192801802 წერილის შესაბამისად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს წარმოადგენს კომპანია, რომელმაც ინტერესთა გამოხატვაში წარადგინა კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 4000 კვ.მ-ის ოდენობით;

ვინაიდან, კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი სანოტარო აქტების საფუძველზე, განაცხადეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ N01.18.13.037.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით;

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის [●] განკარგულებებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.13.037.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17 500 კვ.მ მიწის ნაკვეთების კოოპერატივის წევრებისა და შპს „პერსპექტივასთვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსზღვრული პირობებით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ დადონ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“):

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. სააგენტო ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადასცემს კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (შემდგომში - „უძრავი ქონება“), მდებარე :ქ. თბილისი, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ფართობი - 17 500 კვ.მ; ს/კ: 01.18.13.037.017.
- 1.2. უძრავი ქონება კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას საკუთრებაში გადაეცემათ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული პირობით, სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების მოწმობისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაციის საფუძველზე.
- 1.3. სააგენტო შესაბამის საკუთრების მოწმობას გასცემს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 1.4. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა და საჯარო რეესტრში უძრავი ქონება რეგისტრირდება ხელშეკრულების საპრივატიზებო და 3.1 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულების ვალდებულებით, რაც შესაბამის მოწმობაში/ამონაწერში აისახება შემდეგი ჩანაწერით: „შემენილია საპრივატიზებო და ხელშეკრულების შესრულების პირობით“.
- 1.5. ხელშეკრულების 1.4 პუნქტში მითითებული პირობების/ვალდებულებების შესრულებამდე (დადასტურებამდე) გადაცემული უძრავი ქონების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს წერილობითი თანხმობით, გარდა ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე უძრავი ქონების კომპანიის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევისა, რაც არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან დამატებითი თანხმობის გაცემას.

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

- 2.1. უძრავი ქონება კოოპერატივის წევრები და კომპანიას გადაეცემათ სიმბოლურ ფასად, ამ ხელშეკრულების დანართში მითითებულ თითოეულ პირს - 1 (ერთი) ლარად (შემდგომში - „საპრივატიზებო საფასური“). საპრივატიზებო საფასური გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით: [●].
- 2.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, კოოპერატივის წევრები, სააგენტოს მიერ უძრავი ქონების შესაბამის წილზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, სრულად

ამბობენ უარს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

მუხლი 3. კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას შორის დასადები შეთანხმება

- 3.1. კოოპერატივის წევრები და კომპანია თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას შორის გაფორმდება შეთანხმება (ხელშეკრულება) უძრავ ქონებაზე სამშენებლო პროექტის განხორციელების თაობაზე, რომლის თანახმადაც, კოოპერატივის წევრები კომპანიას საკუთრებაში გადასცემენ უძრავ ქონებას, რომლის გადაცემასთან დაკავშირებულ პირობებს განსაზღვრავენ კოოპერატივის წევრები და კომპანია, ურთიერთშეთანხმებით. ამავე შეთანხმებით (ხელშეკრულებით) განსაზღვრულ ვადაში კომპანია კოოპერატივის წევრებს საკუთრებაში გადასცემს უძრავ ქონებაზე განსახორციელებელ სამშენებლო პროექტში საცხოვრებელ ბინებს, თეთრი კარკასის მდგომარეობით, ამ ხელშეკრულების დანართში განსაზღვრული შესაბამისი ფართობების მიხედვით.
- 3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმება (ხელშეკრულება) ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.
- 3.3. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმებით (ხელშეკრულებით), კოოპერატივის წევრებისა და კომპანიის ურთიერთშეთანხმებით, განისაზღვრება კომპანიის მიერ უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის იმპლემენტაციის პირობები და შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვებისა და მშენებლობის დასრულების ვადები, გადასაცემი თეთრი კარკასის აღწერილობა, პროექტის ფარგლებში კომპანიის მიერ კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ბინების რეგისტრაციის ვადა და წესი, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების/ვადების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ან/და სხვაგვარი სანქციის დაკისრების ოდენობა და წესი და შესაბამისი მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობანი.
- 3.4. კოოპერატივის წევრებს უფლება აქვთ, შექმნან ამხანაგობა/ამხანაგობები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კომპანიასთან შეთანხმება (ხელშეკრულება) გააფორმონ და მასთან შემდგომი ურთიერთობა აწარმოონ ამხანაგობის/ამხანაგობების მეშვეობით.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

- 4.1. კოოპერატივის წევრებისა და კომპანიის ვალდებულებები სააგენტოს წინაშე
 - 4.1.1. კოოპერატივის წევრები და კომპანია კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებებით და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობები და სხვა ვალდებულებები.
 - 4.1.2. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, უძრავი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

- 4.1.3. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, უზრუნველყონ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში და საკუთრების მოწმობასთან ერთად, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით წარადგინონ წინამდებარე ხელშეკრულება და ხელშეკრულების 4.1.1 ქვეპუნქტში მითითებული განკარგულებები.
- 4.1.4. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების რეგისტრაციის, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული სანოტარო მომსახურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სხვა ნებისმიერი ხარჯის გადახდა ეკისრებათ კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას (სოლიდარულად ან მათ შორის სხვაგვარი შეთანხმების მიხედვით).
- 4.1.5. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, სააგენტოს წარუდგინონ ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღისა;
- 4.1.6. კოოპერატივის წევრები ან/და კომპანია თავიანთი ნებისმიერი ქმედებით ან/და უმოქმედობით, განზრახ ან უნებლიედ, პირდაპირ ან ირიბად ხელს არ შეუშლიან ან/და არ შეაფერხებენ (არ ეცდებიან) ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) გაფორმებას ან/და მის საფუძველზე პროექტის განხორციელებას.
- 4.1.7. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, შეასრულონ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები (მათ შორის, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული გარანტიები და განცხადებები) და დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- 4.2. კოოპერატივის წევრებისა და კომპანიის ვალდებულებები ერთმანეთის წინაშე:
 - 4.2.1. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, გააფორმონ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმება (ხელშეკრულება) ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;
 - 4.2.2. კოოპერატივის წევრები ვალდებული არიან, ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) შესაბამისად უძრავი ქონების კომპანიისთვის გადაცემამდე არ განკარგონ ან/და უფლებრივად არ დატვირთონ უძრავი ქონება, ან/და სხვა რაიმე მოქმედებით/უმოქმედობით ხელი არ შეუშალონ უძრავი ქონების კომპანიისთვის გადაცემას.
 - 4.2.3. კოოპერატივის წევრები და კომპანია თანხმდებიან, რომ კომპანია უფლებამოსილია, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე კომპანიისთვის გადაცემული ქონება დატვირთოს იპოთეკით, მხოლოდ მითითებული პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზნით. ამასთან, აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებითა და ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებით კომპანიის მიერ, კოოპერატივის წევრებისმიმართ ნაკისრი ვალდებულებები, სრულად გავრცელდება ახალ შემძენზე.

- 4.2.4. კოოპერატივის წევრები და კომპანია ვალდებული არიან, შეასრულონ ამ ხელშეკრულებით ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 5. მხარეთა გარანტიები და განცხადებები

- 5.1 კოოპერატივის წევრები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ:

- 5.1.1 ხელშეკრულების გაფორმების მომენტში კოოპერატივის წევრები ნამდვილად წარმოადგენენ ხელშეკრულების დანართში მითითებული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს ან კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ მათ უფლებამონაცვლებს და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ შესასრულებელი ვალდებულების სუბიექტს.
- 5.1.2 კოოპერატივის წევრებს, მათ უფლებამონაცვლებს, მარწმუნებულებს, წარმომადგენლებს ან/და მათი სახელით სხვა პირებს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან არ მიუღიათ არანაირი უძრავი ქონება, მატერიალური ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ფულადი თანხა და ა.შ. სახელმწიფო საშინაო ვალის/კოოპერატიული ბინის სანაცვლოდ;
- 5.1.3 ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე კოოპერატივის წევრების მიერ სააგენტოში მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით წარდგენილი ყველა და ნებისმიერი ინფორმაცია, მონაცემი და დოკუმენტი სწორი და ნამდვილია;
- 5.1.4 როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების 2.2 პუნქტში, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, სააგენტოს მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, კოოპერატივის წევრები სრულად ამბობენ უარს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებაზე, მოთხოვნაზე, ინტერესსა ან/და პრეტენზიაზე სააგენტოს, საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და მათი სხვა ნებისმიერი ორგანოს წინაშე.

- 5.2 კოოპერატივის წევრები და კომპანია ადასტურებენ და აცხადებენ, რომ:

- 5.2.1 გააჩნიათ შეუზღუდავი და სრული უფლებამოსილება, რომ გააფორმონ ხელშეკრულება, განხორციელონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებები და შეასრულონ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. ამასთან, ხელშეკრულების გაფორმება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება მოწონებულ და ნებადართულ იქნა ყველა აუცილებელი საშუალებით და ხელშეკრულების გაფორმება და ძალაში შესვლა არ მოითხოვს სხვა რაიმე ქმედების განხორციელებას;
- 5.2.2 გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები, გადაიხადონ საპრივატიზებო თანხა და შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები, მათ შორის, ამ

- ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების (ხელშეკრულების) გაფორმებასა და მის შესრულებასთან დაკავშირებით;
- 5.2.3 ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოს ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს მათთვის უძრავი ქონების - მიწის ნაკვეთის გადაცემა ამ ხელშეკრულების დანართის შესაბამისად. კომპანია და კოოპერატივის წევრები მხოლოდ ერთმანეთის წინაშე არიან პასუხისმგებლები ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით დასადები შეთანხმებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს არ ეკისრება არანაირი სახის ვალდებულება ან/და პასუხისმგებლობა. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიას და კოოპერატივის წევრებს არ აქვთ და მომავალში არც წარმოეშობათ რაიმე სახის უფლება, მოთხოვნა, ინტერესი ან/და პრეტენზია სააგენტოს, საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს მიმართ;
- 5.2.4 არ არსებობს არსებული ან/და შესაძლოდ გამოვლენილი არანაირი ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოება, რამაც შეიძლება შეაფერხოს/ხელი შეუშალოს ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებების და გარანტიების შესრულებას;
- 5.2.5 მათთვის ცნობილია ამ ხელშეკრულების საფუძველზე მათთვის გადასაცემი უძრავი ქონების ხარისხი, მახასიათებლები და სავარაუდო ღირებულება და აღნიშნულთან დაკავშირებით არ გააჩნიათ არანაირი პრეტენზია. მათ შორის კოოპერატივის წევრები ადასტურებენ, რომ პრეტენზია არ გააჩნიათ და არც მომავალში წარმოეშობათ იმ შემთხვევაშიც, თუ უძრავი ქონების (სავარაუდო) ღირებულება ნაკლებია სახელმწიფო საშინაო ვალის/კოოპერატიული ბინის (სავარაუდო) ღირებულებაზე;
- 5.2.6 ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის დანართში მითითებული არცერთი პირი არ ირიცხება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან/და სხვა სახის მოვალეთა რეესტრში, მათ მიმართ არ მიმდინარეობს სააღსრულებლო ან/და სასამართლო საქმისწარმოება, რამაც შესაძლოა შეაფერხოს/ხელი შეუშალოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან/და ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) შესაბამისად კომპანიისთვის უძრავი ქონების გადაცემას.
- 5.3 სააგენტო ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა განცხადების და გარანტიის ნამდვილობის პრეზუმფციაზე დაყრდნობით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 6.1. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:
- 6.1.1. მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით;
- 6.1.2. სააგენტოს მიერ ცალმხრივად (სააგენტოს შეხედულებისამებრ, სრულად ან/და ნაწილობრივ, ამ ხელშეკრულების დანართში მითითებული რომელიმე პირის მიმართ), იმ შემთხვევაში, თუ:
- 6.1.2.1. კოოპერატივის წევრებმა ან/და კომპანიამ არ შეასრულეს / არაჯეროვნად შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების ვალდებულება

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და დარღვევა არ გამოსწორდა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში. სააგენტო უფლებამოსილია, აღნიშნული დამატებითი ვადა განსაზღვროს ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;

6.1.2.2. სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, სრულად ან/და ნაწილობრივ ნამდვილი/ზუსტი არ არის ან/და არ სრულდება ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე განცხადება ან/და გარანტია;

6.1.2.3. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიზეზით/ბრალით არ შესრულდა ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადების ან/და სხვა რომელიმე ვალდებულება, სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულება შეწყვიტოს კომპანიის მიმართ.

6.1.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2 სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის მიხედვით შეწყვეტა (სააგენტოს შეხედულებისამებრ, სრულად ან/და ნაწილობრივ დანართში მითითებული რომელიმე პირის ნაწილში) გამოიწვევს შემდეგს:

6.2.1 უძრავი ქონება (ან მისი გამიჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან ტერიტორიაზე შექმნილი ნებისმერი ობიექტი) (ან/და მასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება) დაბრუნდება (მიექცევა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის ან/და სხვა სახის უფლებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაუქმდება, თუ ქონების დატვირთვამდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საპრივატიზებო/სახელშეკრულებო ვალდებულებ(ებ)ის ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდება და მასზე არსებული იპოთეკის ან/და სხვა სახის უფლებები გაუქმდება სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი ცალმხრივი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს კომპანიის, კოოპერატივის წევრების ან/და სხვა ნებისმიერი მესამე პირის თანხმობას;

6.2.2 სააგენტოს არ დაეკისრება საპრივატიზებო პირობის ან/და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გადახდილი თანხებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება;

6.2.3 იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მიერ ხელშეკრულება შეწყდება ნაწილობრივ ამ ხელშეკრულების დანართში მითითებული რომელიმე კოოპერატივის წევრის მიმართ, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გაფორმებულია ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული შეთანხმება (ხელშეკრულება) და უძრავი ქონება რეგისტრირებულია კომპანიის საკუთრებად, სააგენტო ავტომატურად მიიჩნევა შესაბამისი პირის უფლებამონაცვლედ მითითებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე მისაღები ფართის ნაწილში და შესაბამისი ქონება დარეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (მომავალ) საკუთრებად სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრში

წარდგენილი ცალმხრივი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს კომპანიის, ქონების მიღების პირების ან/და სხვა ნებისმიერი მესამე პირის თანხმობას.

- 6.2.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ პუნქტის 6.2.2 ან/და 6.2.3 პუნქტებით გათვალისწინებული წესით უძრავი ქონების სააგენტოსთვის გადაცემა (დაბრუნება), იგი უფლებამოსილია შესაბამის პირ(ებ)ს (კოოპერატივის წევრები/კომპანია) მოსთხოვოს შესაბამისი ზიანის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- 6.2.5 კომპანიის მიზეზით/ბრალით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას ჩამოერთმევა ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების უფლება სრულად, რასთან დაკავშირებითაც კომპანიას არ წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, რაიმე სახის ზიანის, ზარალის, ინტერესთა გამოხატვის ან/და ხელშეკრულების ფარგლებში / მათთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ან/და სხვა თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

- 7.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერი უთანხმოება ან/და დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დავის მოლაპარაკების გზით დასრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები.

მუხლი 8. სხვა პირობები

- 8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ურთიერთვალდებულებების ამოწურვამდე.
- 8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 8.3. ნებისმიერი კორესპონდენცია მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე შეტყობინების გაგზავნის გზით. თითოეული მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების სხვა მხარეებს წერილობით აცნობოს მითითებული მისამართის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ადრესატისთვის ჩაბარებულად.

სააგენტო: [●]

კოოპერატივის წევრები: [●]

კომპანია: [●]

- 8.4. კოოპერატივის წევრების მიერ ამხანაგობ(ებ)ის შექმნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ შესაბამისი ამხანაგობის თავმჯდომარისთვის გაგზავნილი/ჩაბარებული შეტყობინება მიიჩნევა ამხანაგობის ყველა წევრისთვის გაგზავნილად/ჩაბარებულად.
- 8.5. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთობლიობაში.

8.6. ხელშეკრულება შედგენილია [•] თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), ერთი - სააგენტოს, ერთი - კომპანიას. კოოპერატივის წევრებს (ერთობლივად ან ცალ-ცალკე), მათი ნების შესაბამისად, გადაეცემათ ხელშეკრულების ასლები.

მხარეთა ხელმოწერები:

ხელშეკრულების დანართი
(ს/კ: 01.18.13.037.017)

№	კოოპერატივის ნომერი	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მიწის ნაკვეთის წილი - კვ. მ	საცხოვრებელი ბინის ფართი - კვ. მ
„კოოპერატივების წევრები“					
1	659	სვეტლანა პარასტაევი	01004004694	275.625	63.00
2	659	რაფაელ გასპარიანი	01015013787	358.750	82.00
3	659	ანა ხადულაშვილი	36001037225	358.750	82.00
4	659	ნოდარი ტარულაშვილი	01029006768	358.750	82.00
5	659	სოფიო ჯინჭარაძე	01017043189	398.125	91.00
6	659	ვარვარა არუთინოვი	01017043181	275.625	63.00
7	659	მზია კუჭუაშვილი	01015003748	183.750	42.00
8	659	თამარ ცინცაძე	01015003309	358.750	82.00
9	659	ეკა ახოზაძე	01016009719	358.750	82.00
10	659	რუსუდან ჩარგეიშვილი	01015017848	275.625	63.00
11	659	გივი ნასრაშვილი	01027022952	398.125	91.00
12	659	შალვა ლომიძე	01013017470	398.125	91.00
13	659	თინა ოდელაძე	01029017688	275.625	63.00
14	659	ირინა არეშიძე	01015007996	275.625	63.00
15	659	სოფიკო გოგოლაძე	01015010729	398.125	91.00
16	659	ნოდარი ტყემალაძე	01015022278	398.125	91.00

17	659	გიორგი დალაქიშვილი	პასპ. N72 9153337	358.750	82.00
18	659	კარინე დანელიანი	01016005086	214.375	49.00
19	659	ცირა დეკანოზიძე	01015008301	398.125	91.00
20	659	თამარი ჯიქია შალვა ჯიქია	01015019804 01015007301	275.625	63.00
21	652	გაიოზ უზუნაშვილი	01027042272	179.375	41.00
22	668	ციური ქიმაძე	01011068595	420.000	96.00
23	629	ჯიმშერ ანდრიაშვილი	01005020089	315.000	72.00
24	629	ქეთევანი კახაშვილი	01019044790	315.000	72.00
25	657	გიორგი პაპინაშვილი	01024064420	266.875	61.00
26	621	გიორგი წინამძღვრიშვილი	01002012335	288.750	66.00
27	635	ნათელა მერაბიშვილი	01011071690	415.625	95.00
28	672	ხათუნა გამყრელიძე	01021011861	275.625	63.00
29	646	მერი მამუკელაშვილი	01034002532	161.875	37.00
30	651	მარინე გრიგორიანი	01003012434	284.375	65.00
31	646	თამარ ისაკაძე	34001001273	310.625	71.00
32	646	დავითი ბარბაქაძე	01001047746	188.125	43.00
33	651	ელიკო ღლონტი	01401114138	393.750	90.00
34	671	რუსუდანი კიკვაძე	01030028594	284.375	65.00
35	655	იუზა კიკვაძე	01019027291	420.000	96.00
36	651	გურამ დადასტანიშვილი	01030020392	393.750	90.00
37	658	ლამზირა ბერიძე	01005022151	266.875	61.00

38	672	კარინე ოზმანიანი	01027052948	262.500	60.00
39	651	ნანა ბახტაძე	01034003619	393.750	90.00
40	652	სოსო ბასილაძე	01014005003	196.875	45.00
41	648	თინათინ ცინდელიანი	01008028365	271.250	62.00
42	655	მზია გიგილაშვილი	01020001356	420.000	96.00
43	646	ელგუჯა ტუხაშვილი	65018000121	161.875	37.00
44	651	გია პაპუნაშვილი	01030046545	393.750	90.00
45	657	დარეჯან დუკაშვილი	01013012858	218.750	50.00
46	621	ნანული მეგრელიშვილი	01019023106	153.125	35.00
47	668	ნათელა ყიფშიძე	01011063237	371.875	85.00
48	658	ტარიელი ჭითავა	01021015069	389.375	89.00
49	654	ლილი ჯილაური	01027012697	231.875	53.00
50	646	გიორგი შაუთიძე	01027028928	249.375	57.00
51	657	ლალი ბოლაშვილი	40001025841	266.875	61.00
52	635	ნანა გიორგაძე	01013005303	415.625	95.00
53	629	ქეთევან ჭინჭარაული	01019042699	336.875	77.00
54	664	ელვირა ნარეკლიშვილი	61001088212	498.750	114.00
55	626	ლარისა ბელიჩენკო	01024011094	493.375	113.00
„კომპანია“					
56		შპს „პერსპექტივა“	405304950	1.00	-